



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 51, 2023

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
იტალიამ აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის იმპორტი 10%-ზე მეტით გაზარდა	2
ყაზახეთმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ექსპორტი გაზარდა.....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
ნოემბერში ქსელში მიწოდებული მთლიანი ელექტროენერგიის 78% პირდაპირი კონტრაქტით გაიყიდა	3
დავით ნარმანია - სემეკი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების გაზრდას არ გეგმავს.....	4
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
ენერგეტიკული რეფორმების განხორციელებაში საქართველო უკრაინას და მოლდოვას ჩამორჩა - ევროპის ენერგეტიკული დირექტორატი.....	4
Rolls Royce-მა წარმოადგინა ბირთვული კოსმოსური მიკრორეაქტორის კონცეპტუალური მოდელი.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
ბათუმში კლიმატის ცვლილების „თეთრი წიგნის“ საჯარო განხილვა გაიმართა	6
მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნახშირორჟანგის გაორმაგება პლანეტას 5-6 გრადუსით გაათბობს	7
ღონისძიებები	8

ნავთობი და გაზი

იტალიამ აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის იმპორტი 10%-ზე მეტით გაზარდა

იტალიამ, ბუნებრივი აირის იმპორტი აზერბაიჯანიდან, 2023 წლის ოქტომბერში 881,2 მლნ კუბურ მეტრამდე გაზარდა. სექტემბერში ის 800,5 მლნ კუბურ მეტრს შეადგენდა.

ამის შესახებ ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის ანგარიშშია ნათქვამი. ეს ნიშნავს ყოველთვიური გადასახადის ზრდას 10%-ზე მეტით.



2023 წლის პირველ ათ თვეში იტალიამ აზერბაიჯანიდან 7,7 მილიარდი კუბური მეტრი გაზი შეიტანა, ჯამში 4 მილიარდ ევროდ.

2022 წლის ივლისში აზერბაიჯანი და ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ გაზარდონ მიწოდების მოცულობა სამხრეთ გაზის დერეფნის გასწვრივ, არსებული 10 მილიარდი კუბური მეტრიდან 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე 2027 წელს.

წყარო: bfm.ge - <https://bit.ly/48wT5oA>

ყაზახეთმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ექსპორტი გაზარდა

2023 წლის იანვარ-ნოემბერში, ყაზახეთმა ნავთობის ექსპორტი აქთაუს პორტიდან ნავთობსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მიმართულებით ექვსჯერ, 1,238 მილიონ ტონამდე გაზარდა. ამის შესახებ მილსადენის კომპანია Kaztransoil (KTO) იუწყება.

ნავთობის მიწოდება კასპიის ზღვის პორტიდან რუსეთის მაჰაჩკალაში 1%-ით გაიზარდა და 1,824 მლნ ტონა შეადგინა.

აქთაუდან ნავთობის ექსპორტის მთლიანი მოცულობა მიმდინარე წლის 11 თვეში 50%-ით გაიზარდა და 3,062 მლნ ტონა შეადგინა.

ყაზახეთი თენგიზის საბადოდან BTC ნავთობსადენის მიმართულებით წელიწადში 1,5 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირებას გეგმავს.

Kaztransoil არის ყაზახეთის უმსხვილესი ნავთობგადამზიდავი კომპანია, ფლობს მაგისტრალური ნავთობსადენებისა და წყალსადენების ქსელს 7 600 კილომეტრზე მეტი სიგრძით და გადააქვს ქვეყანაში წარმოებული ნავთობის დაახლოებით 60% ექსპორტისთვის და შიდა ბაზარზე.



სახელმწიფო ფლობს Kaztransoil-ს NK Kazmunaigas-ის მეშვეობით, რომელიც ფლობს კომპანიის 90%-იან წილს.

წყარო: bfm.ge - <https://bit.ly/3GTzWSb>

ელექტროენერგეტიკა

ნოემბერში ქსელში მიწოდებული მთლიანი ელექტროენერგიის 78% პირდაპირი კონტრაქტით გაიყიდა

2023 წლის ნოემბერში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობამ 228 582 275 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში, ქსელში მთლიანი მიწოდების 22% წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულებამ 34 130 915 ლარი შეადგინა.

ესკოს ცნობით, ნოემბერში საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილმა ფასმა ერთ კილოვატ საათზე 14,9315671 თეთრი შეადგინა, დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასმა კი - 11,733 თეთრი.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ესკო-ს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილი შედგება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიისგან. საბალანსო ელექტროენერგიის მთლიან მოცულობაში ჰიდროელექტროსადგურების წილი 42% იყო, ქარის ელექტროსადგურის - 2,8%, თბოელექტროსადგურის - 54.8%, ხოლო იმპორტის წილი - 0,3%.

2023 წლის ნოემბერში, ესკო-დან პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდულმა საბალანსო ელექტროენერჯის წილმა მთლიან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 2,9% შეადგინა. ამავე თვეში, გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით, საბალანსო ელექტროენერჯია შეისყიდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა, რომლის წილმაც საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში 8,4% შეადგინა.

წყარო: energynews.ge - <https://bit.ly/3vcwQGh>

დავით ნარმანია - სემეკი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის

ტარიფების გაზრდას არ გეგმავს

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) თავმჯდომარის, დავით ნარმანიას განცხადებით, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების ზრდას კომისია არ გეგმავს. ამის შესახებ მან „მედიაცენტრ მთავარის“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.

„დღეის მდგომარეობით, სემეკ-ის მიერ ჩვენი მოქალაქეებისთვის ხანდაზმული ან არასწორად დარიცხული 700 ათას ლარზე მეტი დავალიანება იქნა ჩამოწერილი. ასევე, ჩვენ მიერ დადგენილი ვადების დარღვევისთვის, ენერჯეტიკულ კომპანიებს დაეკისრათ ვალდებულება, შესაბამისად, მათ მოქალაქეებისთვის 330 ათას ლარზე მეტი კომპენსაცია აქვთ დაბრუნებული. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ ელექტრო სერვისებზე გადასვლის შემდეგ, ჩვენ ამ სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელს მუდმივად ვუყურებთ. წლის განმავლობაში, მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ისარგებლა *303# სერვისით, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სერვისმა გაამართლა. რამდენიმე მიმართულება დავამატეთ ამ სისტემას, 15-ზე მეტი სხვადასხვა ოპერაციის ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ ჩვენს მომხმარებლებს.“

ტარიფებს რაც შეეხება, ენერჯეტიკის სექტორში ჩვენ გადავედით გრძელვადიანი ტარიფების დადგენაზე, კერძოდ, 5 -წლიანი ტარიფების დადგენაზე. ჩვენ 5-წლიანი ტარიფი ელექტროენერჯიაზე 2020 წლის ბოლოს დავადგინეთ, ეს ტარიფი არის უცვლელი. ბუნებრივი გაზზე კი 5-წლიანი ტარიფი გასული წლის ბოლოს დავადგინეთ. შესაბამისად, არც ელექტროენერჯისა და არც ბუნებრივი გაზის ნაწილში ტარიფების ზრდას კომისია არ გეგმავს”, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

წყარო: bfm.ge - <https://bit.ly/3RXiiDr>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

ენერჯეტიკული რეფორმების განხორციელებაში საქართველო უკრაინას და მოლდოვას ჩამორჩა - ევროპის ენერჯეტიკული დირექტორატი

ენერჯეტიკული რეფორმების განხორციელებაში საქართველო ჩამორჩა უკრაინას და მოლდოვას - ამის შესახებ „ბიზნესპარტნიორთან“ ევროკომისიის ენერჯეტიკული დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილე მეხთილდ ვორსდორფერი აცხადებს.

მან საქართველოს პროგრესის შეფასებისას აღნიშნა, რომ ქვეყანას კარგი პროგრესი აქვს სხვა მიმართულებებით.

„საქართველო ორგანიზაციის იმ წევრებს შორისაა, რომელსაც საგრძნობი პროგრესი ჰქონდა, რაც ჩვენს ანგარიშშიც აისახა. ქვეყანას კარგი პროგრესი სუფთა ენერჯის პაკეტის და დეკარბონიზაციის ნაწილში. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ საქართველო ჩამორჩა უკრაინას და მოლდოვას, რომლებსაც უფრო შთამბეჭდავი პროგრესი ჰქონდათ ენერგეტიკულ ნაწილში, ვიდრე საქართველოს. ასე, რომ საქართველომ ეს ჩამორჩენა უნდა აღმოფხვრას. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ქვეყანას“ - აცხადებს „ბიზნესპარტნიორთან“ მეხთილდ ვორსდორფერი.

ევროკომისიის ენერგეტიკული დირექტორატის ხელმძღვანელის მოადგილემ „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების“ დირექტორთან ერთად ვენაში გამართულ მინისტრიალზე 2023 წლის იმპლემენტაციის ანგარიში წარადგინა, სადაც ორგანიზაციამ წევრი ქვეყნების მიერ ვალდებულებების შესრულება შეაფასა.

„საქართველო უნდა იბრძოდეს გაიხსნას ელექტროენერჯის და გაზის საბითუმო ბაზრები, სასწრაფოდ დაასრულოს ელექტროენერჯის და გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორების განცალკევება და სერტიფიცირება“ - ნათქვამია ანგარიშში.

წყარო: energynews.ge - <https://bit.ly/3RW4kM>

Rolls Royce-მა წარმოადგინა ბირთვული კოსმოსური მიკრორეაქტორის კონცეპტუალური მოდელი

Rolls-Royce-მა წარმოადგინა ბირთვული კოსმოსური მიკრორეაქტორის კონცეპტუალური მოდელი, რომელსაც შეუძლია ელექტროენერჯის მიწოდება დასახლებისთვის მთვარეზე.

მთვარის სამხრეთ პოლუსის ზოგიერთი რეგიონი მზის სხივებისგან მიუწვდომელი რჩება, მაგრამ მიუხედავად ამ პრობლემისა, NASA-მ განსაზღვრა რეგიონი, როგორც მთავარი კანდიდატი მთვარის პირველი ფორპოსტისთვის.

ამ არჩევანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასხნა არის წყლის უზარმაზარი რეზერვების არსებობის შესაძლებლობა მუდმივად დაჩრდილულ ადგილებში. ასტრონავტებს დასჭირდებათ ენერჯის სტაბილური წყარო, რათა გადარჩნენ და შეძლონ მუშაობა სამხრეთ პოლუსთან ან მთვარეზე ნებისმიერ სხვა ადგილას.

მზის ენერჯის, როგორც წარმატებული დასახლებისთვის ენერჯის საიმედო წყაროს მიუწვდომლობის გამო, მთვარეზე ატომური ელექტროსადგურის დიდი საჭიროებაა. „Rolls-Royce-ის ინოვაციური კვლევა ბირთვული მიკრორეაქტორის მოდელის შესახებ, დაეხმარება საფუძველი ჩაეყაროს მთვარეზე ადამიანის მუდმივ ყოფნას“, - თქვა პოლ ბეიტმა, დიდი ბრიტანეთის კოსმოსური სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა.

Rolls-Royce-ის ინჟინრები ამჟამად სწავლობენ ბირთვული დაყოფის რეაქტორის მიერ წარმოქმნილი სითბოს ენერჯიად გადაქცევის გზებს. ამ პატარა და მსუბუქ ბირთვულ რეაქტორს არ დააბრკოლებს მთვარეზე მზის შუქის ნაკლებობა, რაც მას იდეალურს ხდის სამხრეთ პოლუსზე ბნელ კრატერში მდებარე ავანპოსტისთვის.

მიკრორეაქტორი, რომლის სიგანე 101,6 სმ და სიგრძე 305 სმ, გამოიმუშავებს ენერჯიას ბირთვული დაყოფის გზით - იგივე მექანიზმით, რომელსაც იყენებენ ხმელეთზე ბაზირებული ატომური ელექტროსადგურები.

მზის ბატარეებისგან განსხვავებით, რომლებიც მზის შუქზე არიან დამოკიდებულნი, დაყოფის რეაქტორებს შეუძლიათ ენერჯის მუდმივი წყაროს შექმნა და პოლარულ ზედაპირზე სტრატეგიულად განლაგება.

საბაზო ბანაკში ენერჯის მუდმივი მიწოდება ხელს შეუწყობს ასტრონავტების სიცოცხლისთვის საჭირო ვენტილაციისა და გათბობის სისტემების მუშაობას. უფრო მეტიც, ენერჯის მუდმივ წყაროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდგრადი ოპერაციებისთვის, მათ შორის მარსმავალის და სხვა სამეცნიერო ხელსაწყოების დასამუხტად მთვარის კვლევისთვის.

კომპანიის განცხადებით, მიკრორეაქტორს ასევე შეუძლია უზრუნველყოს კოსმოსური ხომალდების ენერჯია და მოძრაობა. უფრო მეტიც, დედამიწაზე, ამ ტექნოლოგიას შეუძლია დაეხმაროს წმინდა ნულოვანი ემისიების მიღწევას და სათბურის გაზების ემისიების შემცირებას.

წყარო: building-tech.org - <https://bit.ly/3RXilz7>

კლიმატის ცვლილება

ბათუმში კლიმატის ცვლილების „თეთრი წიგნის“ საჯარო განხილვა გაიმართა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ინიციატივით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კლიმატის ცვლილების კანონის „თეთრი წიგნის“ პრეზენტაცია და საჯარო განხილვა გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, შემაჯამებელ შეხვედრას, რომელიც სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და ვესტმინისტრის დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა, ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, სამეგრელო-ზემო სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციების წარმომადგენლები.

მათივე ცნობით, ღონისძიების მონაწილეებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძე მიესალმა, რომელმაც კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კანონის მომზადების მნიშვნელობასა და აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობაზე ისაუბრა.

„ბათუმის უნივერსიტეტში კლიმატის ცვლილების „თეთრი წიგნის“ ძირითადი მიმართულებები საჯარო ფორმატში გაიმართა. დოკუმენტში მოცემული მიდგომები და რეკომენდაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობას და დაინტერესებულ პირებს უკვე გავაცანით და ახლა უკვე პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კანონი, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე ჩვენი ხელისუფლების ორგანოების როლს განსაზღვრავს. კანონპროექტის მთავარი მიზანია გააძლიეროს პარლამენტის როლი კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის შესასრულებელ ღონისძიებებზე როგორც საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილში, ასევე დეკარბონიზაციის გეგმის შესრულების თვალსაზრისით“, – განაცხადა მაია ბითაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარის შეფასებით, ჩარჩო კანონი უპასუხებს ყველა იმ ვალდებულებასა და გამოწვევას, რომელიც საქართველომ კლიმატის ცვლილების

საკითხებზე და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების მიერთების კუთხით აიღო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა კლიმატის ცვლილების კანონზე მუშაობის დაწყების მნიშვნელობა შეაფასა და აღნიშნა, რომ დოკუმენტის მომზადების მიზანს ქვეყანაში არსებული გამოწვევების დაძლევა წარმოადგენს.

„კლიმატის ცვლილების პროცესები ძალიან დაჩქარებულია, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უარყოფითად აისახება. მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოწვევების პარალელურად კლიმატის ცვლილების კანონზე მუშაობა დავიწყეთ, რომელიც რეგიონების და საზოგადოების მხრიდან მაღალი ჩართულობის შესაძლებლობებს ითვალისწინებს. ჩვენთვის აუცილებელია, რომ კანონპროექტმა, რომლის განხილვა პარლამენტში მომავალი წლიდან დაიწყება, დაფაროს ის საკითხები და გამოწვევები, რომელიც ქვეყანას კლიმატის ცვლილების კუთხით აქვს“, – აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა.

კლიმატის ცვლილების კანონის „თეთრი წიგნის“ განხილვის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა და ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ მიმართეს. კანონპროექტის მომზადების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს ასევე შეხვედრის მონაწილეებმა.

წყარო: Itv.ge - <https://bit.ly/3RTZdlj>

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნახშირორჟანგის გაორმაგება პლანეტას 5-6 გრადუსით გაათბობს

უკანასკნელად ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ასეთი მაჩვენებელი 14 მლნ წლის წინ დაფიქსირდა. ახალი კვლევა, რომლის შედეგებიც არც ისე დამაიმედებელია, კარგად აჩვენებს თუ საით მიდის დედამიწის კლიმატი.

„ვრწმუნდებით, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ძალიან უჩვეულოა დედამიწის ისტორიაში“ - განაცხადა დედამიწის ობსერვატორიის პროექტის წამყვანმა ავტორმა, ბარბელ ჰენიშმა.

ახალი ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლოს ჰაერი ნახშირორჟანგის 420 მლნ ნაწილაკს (ppm) შეიცავდა 14-16 მილიონი წლის წინ, როდესაც გრენლანდიაში ყინული არ იყო და ადამიანების წინაპრები, უბრალოდ, ტყეებიდან მდელოებისკენ გადადიოდნენ. 1700-იანი წლების ბოლომდე ატმოსფერული ნახშირორჟანგის დაახლოებით 280 მლნ ნაწილაკი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა უკვე გამოიწვიეს სათბურის გაზების დაახლოებით 50%-ით მატება.

კვლევამ დაადგინა, რომ თუ CO₂-ის გლობალური ემისია მატებას გააგრძელებს, 2100 წლისთვის შესაძლოა, 600-800 მლნ ნაწილაკს მივაღწიოთ. ეს მაჩვენებელი ბოლოს ეოცენის დროს, 3-4 მილიონი წლის წინ დაფიქსირდა, სანამ ანტარქტიდა ყინულით დაიფარებოდა და როდესაც მსოფლიოს ფლორა და ფაუნა განსხვავებულად გამოიყურებოდა.

მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ გასული 66 მილიონი წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი პერიოდი 50 მილიონი წლის წინ დაფიქსირდა, როდესაც CO₂-ს ნაწილაკი 1600 მილიონამდე გაიზარდა და ტემპერატურა 12 გრადუსით უფრო მაღალი იყო.

2,5 მილიონი წლის წინ, ნახშირორჟანგის 270-280 მლნ ნაწილაკი იყო, რამაც გამყინვარების მთელი პერიოდი გამოიწვია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნახშირორჟანგის გაორმაგება პლანეტას 5-6 გრადუსით გაათბობს.

პროგნოზები პესიმისტურია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ 56 მლნ წლის წინ, როდესაც დედამიწამ ნახშირორჟანგის მსგავსი სწრაფი გამოყოფა განიცადა, რამაც ეკოსისტემებში მასიური ცვლილებები განიცადა, ხოლო მის დაშლას დაახლოებით 150 000 წელი დასჭირდა.

წყარო: amindi.ge - <https://bit.ly/3RQZjdv>

ღონისძიებები

[ZeroCarbonIndustry 2024](#) - კონფერენცია ნულოვანი ნახშირბადის მრეწველობის შესახებ

თარიღი: 30–31 იანვარი, 2024

ორგანიზატორი: eceee

ადგილი: ანტვერპენი, ბელგია

კონფერენცია - [მდგრადი ენერგეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერგეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერგეტიკული პოლიტიკა, მრეწველობა, ე-მობილობა, შენობები, დაფინანსება, ტექნოლოგიები

[GlobalMethaneForum 2024](#)- მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO₂-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია